კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის საერთაშორისო კონფერენცია

”პოლიტიკური ტრანსფორმაცია და სოციალური ცვლილება სამხრეთ კავკასიაში:

საქართველო და სომხეთი პერსპექტივაში”

29-30 ივნისი, 2012

ერევანი, სომხეთი

საერთაშორისო კონფერენცია ”პოლიტიკური ტრანსფორმაცია და სოციალური ცვლილება სამხრეთ კავკასიაში: საქართველო და სომხეთი პერსპექტივაში” ტარდება პროგრამა ”კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის” მხარდაჭერით და განკუთვნილია ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.

მკვლევარებს საშუალება ექნებათ წარმოადგინონ თავიანთი კვლევითი ნაშრომები შემდეგ თემებზე:

1) მიგრაცია, დიასპორა და სოციალური ჩართულობა;
2) სამოქალაქო საზოგადოება, სოციალური ქსელები და სოციალური კაპიტალი;
3) მედია, დისკურსები და საჯარო სივრცე;
4) სახელმწიფო ძალაუფლება, მმართველობა და დემოკრატია;
5) ეროვნული იდენტობა, უმცირესობები, რელიგიური და კულტურული კაპიტალი;
6) სოციალური ცვლილება(ახალგაზრდების იდენტობა, ღირებულებათა ცვლა, ახალგაზრდების დასაქმება, ა.შ).

კონფერენციის მიზანია:

- შესაძლებლობა მისცეს მკვლევარებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ, შეხვდნენ ერთმანეთს, გააფართოვონ თავიანთი აკადემიური ქსელი, გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, იმსჯელონ თავიანთ ნაშრომებზე /კვლევის შედეგებზე.
- განიხილონ ტრანსფორმაციის პროცესის თანმდევი გამოწვევები და წინააღმდეგობები, რომლის წინაშეც დგას სოციალური მეცნიერებები საქართველოში.

კონფერენციაში მონაწილეობის პირობები:

- კონფერენციის მონაწილეები უნდა იყვნენ **დოქტორანტები** ან **დოქტორანტურის კურსდამთავრებულები**, რომლებსაც 2008 წელს და მას შემდგომ მიენიჭათ დოქტორის აკადემიური ხარისხი.

- კვლევითი ნაშრომების თემატიკა აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს ან სომხეთს.

ასევე მიიღება ნაშრომები, რომლებიც შედარებით ანალიზს მოიცავს.

კონფერენციის ენა: ინგლისური

საბუთების მიღება:

ყველა დაინტერესებულმა კანდიდატმა უნდა გამოაგზავნოს 1 გვერდიანი ავტობიოგრაფია(CV),

კონფერენციაზე წარსადგენი კვლევითი ნაშრომის აბსტრაქტი(არა უმეტეს 300 სიტყვისა) და სამოტივაციო წერილი **2012 წლის 12 მარტამდე** შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@ascn.ch და jan.kreuels@ascn.ch . Subject გრაფაში მიუთითეთ ASCN Annual Conference 2012.

ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და გაერთიანებული 1 pdf ფაილად.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2012 წლის 10 აპრილს.

კონფერენცია ჩატარდება ერევანში.

კონფერენციასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს დაფარავს პროგრამა.

შემდგომი ინფორმაციისთვის :

დენის დაფლონი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის კოორდინატორი

ელ ფოსტა: info@ascn.ch; denis.dafflon@unifr.ch

დეტალური ინფორმაცია კონფერენციის თაობაზე იხილეთ პროგრამის ვებგვერდზე:

http://ascn.ch/en/Events/Annual-Conference-2012.html